

ლელა ნადიბაიძე_სამართლის დოქტორი, სრ. პროფესორი.

დავიბადე 1965 წლის 24 მაისს თბილისში, ვცხოვრობ ქ. მცხეთა

1982 წელს დავამთავრე მცხეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

1991 წელს დავამთავრე საქართ. სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი

1991 წელსვეჩავაბარე თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე.

1996 წელს წარჩინებით დავამთავრე თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი.

1998 წელს ასევე წარჩინებით დავამთავრე თსუ-ს ასპირანტურა და ამავე წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია სამოქალაქო სამართლის მიმართულებით თემაზე: “შვილად აყვანის სამართლებრივი ასპექტები”.

1996 წლიდან_2002 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს იუსტიციის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე–კადრების სამმართველოს კადრებთან მუშაობის განყოფილების წამყვან კონსულტანტად; მოქალაქეობის, სამოქალაქო საკითხთა და იმიგრაციის დეპარტამენტის ნოტარიატის განყოფილების უფროსად; პარლამენტთან ურთიერთობის, კანონშემოქმედებითი საქმიანობისა და კანონმდებლობის დეპარტამენტის ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციის სამმართველოს უფროსად.

1998 წლიდან 2008 წლამდე ვკითხულობდი ლექციებს თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე და იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სამოქალაქო სამართალში მიმართულებით (სანივთო, ვალდებულებითი, სახელშეკრულებო და საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალში).

1998 წლიდან ვარ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და 2004 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

ვარ 17-მდე სამეცნიერო სტატიის, ერთი მონოგრაფიისა და ბროშურის ავტორი, რამდენიმე მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტი. კერძო სამართლის მიმართულებით სამი დოქტორანტის ხელმძღვანელი, ორმოცდაათამდე სადიპლომო და დოქტორანტთა სასემინარო ნაშრომის ხელმძღვანელი. ერთი სადოქტორო და სამი საკანდიდატო დისერტაციის ექსპერტი, ორი საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი, მონაწილეობა აქვს მიღებული ხუთამდე საერთაშორისო–სამეცნიერო და პრაქტიკულ კონფერენციაში, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატი.

2004-2007 წწ. ვიყავი საადვოკატო ბიურო “ნადიბაიძე და პარტნიორების” დამფუძნებელი ადვოკატი და ხელმძღვანელი პარტნიორი.

2008 წლიდან 2010 წლამდე ვიყავი სს “ელიტ ელექტრონიქსის” იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

2010 წლიდან დღემდე ვარ შპს “ტექნობუმის” იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2006 წლიდან 2014 წლამდე ვკითხულობდი ლექციების კურსს სამოქალაქო სამართალში საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრატურაში.

2011 წლიდან დღემდე ვკითხულობ ლექციებს სამოქალაქო სამართალში თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტში და სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში.

ვარ დასაოჯახებელი.

მყავს მშობლები:

მამა - სულიკო ნადიბაიძე , დაბ., 1940წ. - პენსიონერი.

დედა - ციური ნადიბაიძე, დაბ., 1942წ. - მუშაობს სასპორტო სკოლაში საქმისმწარმოებლად.

და - ლიანა ნადიბაიძე, დაბ., 1967წ. - მუშაობს მცხეთის №1 საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების პედაგოგად.

ძმა - ნიკოლოზ ნადიბაიძე, დაბ., 1976წ. - მუშაობს შპს „ტექნობუმში“ იურისტად, არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

გაკეთებული მაქვს სამეცნიერო დასკვნა საქართველოს პარლამენტის ინიციატივით კანონპროექტებზე:

1. “ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა შვილ-ობილად აყვანის შესახებ” (1999წ.);
2. “შვილად აყვანის შესახებ”(2006წ.)

ვარ “სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ” ინსტრუქციის (1998წ.) და “ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდების კრებულის” თანაავტორი (1999წ.).

ჩემი სამსახურებრივი მონაწილეობით შემუშავებულია საქართველოს კანონის პროექტი “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ (1998წ.).

